

დაუყოვნებლივ გამოქვეყნებისთვის

საკონტაქტო პირი: თეონა ყუფუნია, NDI საქართველოს პროგრამის ხელმძღვანელი(+995) 577 719134; tkupunia@ndi.org

25 აგვისტო, 2014

NDI-ის კვლევის შედეგების მიხედვით, მოსახლეობა აგრძელებს საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის მხარდაჭერას და არჩევნების შემდგომ პერიოდში მოელის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას

თბილისი - დღეს ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა (NDI) საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები წარადგინა. კვლევამ აჩვენა, რომ გამოკითხულთა თითქმის 60 პროცენტი მხარს უჭერს საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციას ევრაზიის კავშირში საქართველოს გაერთიანების ნაცვლად. გამოკითხულთა უმრავლესობა, 78 პროცენტი, მხარს უჭერს საქართველოს მთავრობის გაცხადებულ მიზანს საქართველო გახდეს ევროკავშირის წევრი.

გამოკითხულთა საკმაოდ დიდი ნაწილი, 79 პროცენტი, ინფორმირებულია, რომ 27 ივნისს საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას. რესპონდენტთა 69 პროცენტი მხარს უჭერს ამ მოვლენას, 8 პროცენტი უარყოფითად აფასებს, ხოლო 22 პროცენტს არ აქვს ჩამოყალიბებული პოზიცია.

სამუშაო ადგილები და ეკონომიკური მნიშვნელობის საკითხები კვლავაც ყველაზე მწვავეა მოსახლეობისთვის. შესაბამისად, 63 პროცენტი პრიორიტეტულ საკითხებს შორის ასახელებს სამუშაო ადგილებს და 32 პროცენტი – სიღარიბეს.

რაც შეეხება არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხებს, გამოკითხულთა 74 პროცენტი ფიქრობს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები კარგად ჩატარდა. გამოკითხულთა 63 პროცენტი არ ეთანხმება ერთ–ერთი მაღალი რანგის სასულიერო პირის მოწოდებას ამომრჩევლებისადმი, არჩევნებში ხმა არ მიეცათ ერთ–ერთი პოლიტიკური პარტიისთვის. რესპონდენტთა 44 პროცენტი ამართლებს ცესკოს გადაწყვეტილებას, აღნიშნული სასულიერო პირისგან მოეთხოვა განმარტება ამ მოწოდებასთან დაკავშირებით. და ბოლოს, მოსახლეობის 73 პროცენტი მიიჩნევს, რომ ეკლესია არ უნდა ერეოდეს წინასაარჩევნო კამპანიაში.

“ქართველები კვლავ მყარად უჭერენ მხარს საქართველოს ევრო–ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციას. რაც შეეხება საშინაო პოლიტიკის საკითხებს, გამოკითხულები მიიჩნევენ, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები კარგად ჩატარდა, ხოლო ეკონომიკა, მათი აზრით, კვლავ წელს ვითარდება.“ - ამბობს NDI საქართველოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, კრისტინა ვილფორი. „მოსახლეობა ასევე აღნიშნავს, რომ სამუშაო ადგილები და სიღარიბე ეროვნული მნიშვნელობის საკითხებს შორის ყველაზე პრიორიტეტულია. თუ ხელისუფლების წარმომადგენლები ამ ინფორმაციას გამოიყენებენ პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისას, მოსახლეობის მხარდაჭერას მოიპოვებენ“.

კვლევა ამა წლის 23 ივლისიდან 7 აგვისტოს პერიოდში, საქართველოს მასშტაბით 3,338 პირისპირ ინტერვიუს წარმომადგენლობითი შერჩევის საფუძველზე ქართულენოვან მოსახლეობას შორის ჩატარდა. მასში ასახულია მოსახლეობისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები, ასევე მოსახლეობის დამოკიდებულება დემოკრატიის, რეფორმების და საგარეო თუ საშინაო პოლიტიკის საკითხების მიმართ. კვლევაში საშუალო ცდომილების ზღვარი არის +/- 2.9%.

NDI-ის კვლევებს აფინანსებს შვედეთის საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების სააგენტო (Sida) და ატარებს CRRC-საქართველო.

-დასასრული-

NDI არის არამომგებიანი ორგანიზაცია, რომელიც მუშაობს დემოკრატიის განმტკიცებისა და გავრცელებისთვის მსოფლიოში. NDI მუშაობს დემოკრატიებთან მსოფლიოს ყველა რეგიონში, რათა გააძლიეროს პოლიტიკური და სამოქალაქო ორგანიზაციები, ხელი შეუწყოს არჩევნების სამართლიანად ჩატარებას, მოქალაქეების აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მთავრობის ანგარიშვალდებულებას. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე www.ndi.org